

**სამეცნიერო ნაშრომში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის
მითითების წესი**

(დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ - ბრძანება №01-01/09 10. 02.2017წ.)

2.8 ნაშრომში წყაროების მითითების ორი ფორმატი:

2.8.1. სქოლიო: სქოლიო ნაშრომის ფარგლებში შეიძლება განთავსდეს გვერდის ქვედა ნაწილში ან ნაშრომის ბოლოს. შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. სქოლიოში ლიტერატურული წყაროების მითითება განხორციელდეს შემდეგი სტილით:

- **წიგნი:** ავტორის სახელი და გვარი ზუსტად ისე, როგორც წიგნის სატიტულო გვერდზეა წარმოდგენილი, სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი;
- თუ წიგნს ერთზე მეტი ავტორი ჰყავს, ზემოთ მოცემულ ფორმულირებაში მიეთითოს ყველა ავტორის სახელი და გვარი. თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, მიეთითოს მხოლოდ პირველი ავტორის სახელი, გვარი და სიტყვა „სხვები“.
- თუ წიგნის სატიტულო გვერდზე, ავტორის გარდა, მითითებულია რედაქტორი ან მთარგმნელი, მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი ისე, როგორც აღწერილია ზემოთ, ხოლო რედაქტორის ან მთარგმნელის სახელი და გვარი დაუმატეთ წიგნის სათაურის შემდეგ. თუ წიგნს მთარგმნელიც ჰყავს და რედაქტორიც, მიუთითეთ მათი სახელები და გვარები იმავე თანმიმდევრობით, როგორც წიგნის სატიტულო გვერდზეა. შენიშვნებში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით აბრევიატურა „რედ.“ ან „მთარგმნ.“ (ინგლისური წიგნების შემთხვევაში - „ed.“, „trans.“).
- თუ წიგნის სატიტულო გვერდზე ავტორის ნაცვლად მითითებულია რედაქტორი ან მთარგმნელი, ავტორისთვის განკუთვნილ ადგილას დაწერეთ მისი სახელი და გვარი ისევე, როგორც დაწერდით ავტორის სახელსა და გვარს (იხ. ზემოთ), მაგრამ გვარის და სახელის შემდეგ დაურთეთ აბრევიატურა „რედ.“ („ed.“) (მრავლობითში „რედ.-ები“ „eds“) ან „მთარგმნ.“ („trans.“) (მრავლობითში „მთარგმნ.-ები“, „trans.“). თუ რედაქტორი ან მთარგმნელი რამდენიმეა, იხელმძღვანელებთ პარაგრაფში „რამდენიმე ავტორი“ ჩამოყალიბებული პრინციპებით (იხ. ზემოთ).
- თუ ორგანიზაციის, ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო გვერდზე არ არის მითითებული ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია როგორც გამომცემელი.

- თუ ადგილი ექნება ავტორთან დაკავშირებულ შემთხვევებს, რომლებიც ზემოთ არ არის მოცემული, გამოიყენეთ ის მოდელი, რომელიც თქვენს შემთხვევასთან ყველაზე ახლოს იქნება;
- **სამეცნიერო სტატია:** ავტორის სახელი და გვარი, სტატიის სრული სათაური, ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, ნომერი, გვერდების ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია;
- **ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია:** ავტორის სახელი გვარი, „სტატიის სათაური,“ ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (გამოსვლის თარიღი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, ვებ-გვერდის მისამართი (წვდომის თარიღი);
- **ინტერნეტში განთავსებული და სხვა ელექტრონული წიგნები.** სტანდარტული ელემენტების გარდა აუცილებელია ვებ-გვერდის მისამართის და წვდომის თარიღის მითითება: ავტორის სახელი და გვარი, წელი, სათაური, გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. ვებ-გვერდის მისამართი (წვდომის თარიღი). სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.
- **ციტირება:** ტექსტის ციტირებული ფრაგმენტი, არა უმეტეს 900 სიმბოლოსი, უნდა განთავსდეს ბრჭყალებში, ხოლო ავტორი, წყაროს დასახელება, გამოქვეყნების თარიღი და გვერდი უნდა მიეთითოს სქოლიოში. თუ ციტირებისას გამოქვეყნების თარიღი ხელმისაწვდომი არ არის, უნდა მიეთითოს შემოკლება n.d.(no date);

2.8.2. ტექსტში ჩართული მითითების ფორმატი. მისი გამოყენებისას წყაროზე მითითება კეთდება ტექსტშივე, ციტატის ან პერიფრაზის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში [ავტორის გვარი, სახელი, გამოცემის თარიღი, ორი წერტილი და შესაბამისი გვერდების ნომერი].

2.8.3. ერთ ნაშრომში დასაშვებია მითითების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმატის გამოყენება